

სასწავლო უნივერსიტეტი
„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
გენერალასლანაბაშიძის ქ., № 14
www.bauinternational-uni.ge

ტელ/ფაქსი: (+995 422 21 25 36 /+995 422 21 25 35)
ელ.ფოსტა: info@bauinternational-uni.ge

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #19

2014 წლის 18 აგვისტო,
ქ. ბათუმი

**სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“
საერთაშორისო მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების
სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ და სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ საერთაშორისო მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის თანდართული დებულება (დანართი 1);
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან. დაეზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებსა, მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი, პროფესორი

ისმეთ დინდარ

**საერთაშორისო მარკეტინგისა და სტუდენტთა
მომსახურების სამსახურის
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საერთაშორისო მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სტატუსს, ფუნქციებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.
2. სამსახური არის უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული.
3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ფუნქციებია:
 - ა) სტუდენტთა მოზიდვის თვალსაზრისით მარკეტინგის სწორი დაგეგმვა და შესრულება;
 - ბ) ინტეგრირებული საკომუნიკაციო საშუალებების, ვებ-გვერდის, სოციალური მედიის, ისევე როგორც ტრადიციული ბეჭდვითი მედიის გამოყენება მაღალი მოსწრების და აკადემიური დონის სტუდენტების მოზიდვის მიზნით;
 - გ) სტუდენტზე ორიენტირებული კომუნიკაციის საშუალებების, მოზიდვის და მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება;
 - დ) მიმდინარე, პოტენციური სტუდენტის და კურსდამთავრებულების სოციალური და დემოგრაფიული მონაცემების შესწავლა;
 - ე) ბაზრის ყოველწლიური გამოკვლევა, მათ შორის კონკურენტუნარიანობის ანალიზი, ბრენდ-მენეჯმენტის წარმატებით განხორციელების მიზნით, პროგრამების შემდგომი დახვეწისა და განვითარებისათვის;
 - ვ) ბეჭდვითი საშუალებების და ვებ-გვერდების ყოველწლიური კომუნიკაციური რევიზია და კონკურენტუნარიანობის ანალიზი, მიღებული შედეგების საფუძველზე ელექტრონულ-საკომუნიკაციო არხების დახვეწა-გაუმჯობესება;
 - ზ) ფოკუს ჯგუფებისა და გამოკითხვების ორგანიზება. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების საფუძველზე სტრატეგიული დაგეგმარება;
 - თ) დაინტერესებულ პირთა მონაცემთა ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;
 - ი) მასმედიის სწორი შერჩევა და მართვა სარეკლამო განცხადებების განთავსებისას;
 - კ) ბეჭდური სარეკლამო ფურცლების, ბუკლეტების, ფოტო და ვიდეო რეკლამის შემუშავება, მუდმივი განახლება და დახვეწა;
 - ლ) სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება;

- მ) სტუდენტური სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული და სხვა პროექტების განხორციელებისათვის ხელშეწყობა. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩამოყალიბებული სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის კოორდინირება;
- ნ) დასაქმების ბაზრის კვლევების განხორციელება და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება;
- ო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მომსახურება უნივერსიტეტის საერთო ცხოვრებაში ინტეგრირებისა და მათი პრობლემების მოგვარების მიზნით.
- პ) სტუდენტებისათვის სასწავლო და აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალური ტრენინგების პერიოდულად გამართვა;
- ჟ) სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა სოციალური პროექტების მომზადებასა და განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
- რ) სასწავლო სფეროში მიმდინარე სხვა და სხვა კონკურსების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მიწოდება;
- ს) უნივერსიტეტის სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელებაში ხელშეწყობა.
- ტ) უნივერსიტეტის სტუდენტების შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმავზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის შესაბამისად.
- უ) თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით.
- ფ) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების, უნივერსიადების ორგანიზება, სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამტკიცებლად.
- ქ) სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში სტუდენტთა მოზიდვა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, მათთვის ხელშეწყობა უნივერსიტეტის სახელით უნივერსიადებში და სტუდენტურ დღეებში მონაწილეობის მისაღებად.
- ღ) სტუდენტური თვითმმართველობის და სტუდენტური ორგანიზაციების მხარდაჭერა.
- ყ) ერთობლივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო, კულტურული, სოციალური და დასაქმების პროექტების განხორციელების მიზნით სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა.
- შ) საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 3 . დასკვნითი დებულებები

1.სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2.სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.